რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№476/თ

„14" სექტემბერი, 2023 წელი
ქ. რუსთავი

ბრძანება

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის შექმნისა და მისი შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული ,,რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის, ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულების და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის" საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბი, შემდეგი შემადგენლობით:

   1.1. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის უფროსი - *გურამ კორკოტაშვილი.*

   1.2. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში - *გია გიგოლაშვილი.*

   წევრები: *მიხეილ გრემელაშვილი* და *გიორგი გიგლემიანი.*

   1.3. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში - *გია გიგოლაშვილი.*

   წევრები: *ლაშა რევაზიშვილი, იმედა ინდაშვილი* და *სერგო ლორთქიფანიძე.*

1.4. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის უფროსის თანაშემწე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საკითხებში - *ნელი უფლისაშვილი.*

წევრები: *ორბან რამაზანოვი, ეკატერინე ჩუბინიძე, თეონა გუმბერიძე* და *თამარ ჩიქოვანი.*

1.5. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის ქიმიურ-რადიაციული ჯგუფის უფროსი - *გიორგი ძინძიბაძე.*

წევრები: *ქეთევან თამაგარი* და *მაია იასეშვილი.*

1.6. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის სანიტარული ჯგუფის უფროსი - *თორნიკე შენგელია.*

წევრები: *ნატო ძლიერიშვილი, ეკატერინე გოხეკიშვილი* და *მარიამ ტაბატაძე.*

1.7. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის ხანძარსაწინააღმდეგო რგოლის უფროსი - *მიხეილ ხეჩიაშვილი.*

წევრები: *გიორგი კვირიკაშვილი* და *გურამ რამიშვილი.*

1.8. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის სამაშველო ჯგუფის უფროსი - *ოთენე მატუა.*

წევრები: *ნათია ქავთარაძე, ზურაბ ჭაჭაშვილი* და *გიორგი ბუთხუზი.*

1.9. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის თავშესაფარის მომსახურების რგოლის უფროსი - *კობა ჭიპაშვილი.*

წევრები: *ანა ნოზაძე* და *ეკატერინე ბერიძე.*

1.10. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რგოლის უფროსი - *გიორგი ციცკარაული.*

წევრები: *ნინო ლომსიანიძე* და *ხათუნა ხარშილაძე.*

2. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლეებსა და აპარატის თანამშრომლებს.

3. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის შემადგენლობის უფლება-მოვალეობანი განისაზღვროს №1 დანართით.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასამართლოს მენეჯერს.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2023 წლის 16 იანვრის № 7/თ ბრძანება.

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავჯდომარე

(დანართი №1)

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს საგანგებო სიტუაციებისა და თავდაცვის ოპერატიული შტაბის შემადგენლობისათვის უფლება-მოვალეობების განსაზღვრის თაობაზე

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის უფროსის ფუნქციონალური მოვალეობები განისაზღვროს შემდეგი ფორმით:

ობიექტის სამოქალაქო თავდაცვის უფროსი ითვლება ობიექტის სამოქალაქო თავდაცვის ხელმძღვანელად, რომელიც პირადად ასრულებს ს.თ მართვის ორგანიზაციას ობიექტზე.
ობიექტის სამოქალაქო თავდაცვის უფროსი ექვემდებარება ზემდგომ დარგობრივ ხელმძღვანელობას. იგი პასუხისმგებელია ობიექტის სამოქალაქო თავდაცვის მუდმივი მზადყოფნის მოყვანისათვის თავისდროულ დაგეგმარებისა და ს.თ. ღონისძიებების მშვიდობიან და ომის შემთხვევაში.

სამოქალაქო თავდაცვის უფროსს ევალება:

- ✓ ობიექტის ს.თ გეგმის შედგენა და მისი გამოყენება განსაკუთრებულ შემთხვევაში;
- ✓ მოსამსახურეთა თავისდროულ საშიშროების შეტყობინება და მოქმედება;
- ✓ მართვის კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზაციის გატარება;
- ✓ ობიექტზე არაგასამხედროებული ფორმირებების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება;
- ✓ მომსახურეთა და ფორმირებებისათვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მომარაგება, მათი სწორი ექსპლუატაცია, შენახვა და გაცემა;
- ✓ დადგენილი წესის მიხედვით მომსახურეთა თავისდროული ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში;
- ✓ ექსტრემალური სიტუაციების აღმოცენების შემთხვევაში თავისდროული მაშველი და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება;
- ✓ საჰაერო (სარაკეტო) თავდასხმის შემთხვევაში მოსამსახურეთა შეფარების ორგანიზაცია თავდაცვის ნაგებობებში;
- ✓ შუქშენიღბის ღონისძიებების გატარება ობიექტზე;
- ✓ ობიექტზე სამოქალაქო თავდაცვის სწავლების ორგანიზაცია და მიმდინარეობა.

I. ხელმძღვანელი ორგანოების საშტატო თანამდებობრივი სია

სახელი, გვარი	ს.თ. დაკავებული თანამდებობა	ბინის მისამართი	ტელეფონის ნომერი
გურამ კორკოტაშვილი	შტაბის უფროსი	ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო, პირველი კვარტალი, მე-14 კორპუსი, ბინა 47	577670939
გია გიგოლაშვილი	მოადგილე ევაკუაციის საკითხებში	ქ. რუსთავი, მე-12 მკრ-ნი 35/47	577284222
გია გიგოლაშვილი	მოადგილე მატერ-ტექნიკ საკითხებში	ქ. რუსთავი, მე-12 მკრ-ნი 35/47	577284222

ნელი უფლისაშვილი	თანაშემწე კავშირგაბმულობის საკითხებში	ქ. რუსთავი, თბილისის ქ.29/28	577284280
გიორგი ძინძიბაძე	ქიმიურ-რადიაციული ჯგუფის უფროსი	ქ. რუსთავი, მე-7ა მ/რ-ნი კორპ.: 2	591014321
თორნიკე შენგელია	სანიტარული ჯგუფის უფროსი	ქ. რუსთავი, მე-7 მ/რ 6/3	599392777
მიხეილ ხეჩიაშვილი	ხანძარსაწინააღმდეგო რგოლის უფროსი	ქ.რუსთავი, პ. თოდრიას ქ.: კორპ.: № 21/21	568704656
ცოტნე მატუა	სამაშველო ჯგუფის უფროსი	ქ. თბილისი, ბაგები სტუდქალაქი, ბინა 5	555293069
კობა ჭიპაშვილი	თავშესაფრის მომს. რგოლის უფროსი	ქ. რუსთავი, მე-7 მ/რ-ნი 11/46	599283416
გიორგი ცისკარაული	საზოგ. წესრ. დაცვის რგოლის უფროსი	ქ. რუსთავი, დავით გარეჯის 1/16	598344990

II. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის უფროსის მოადგილის ევაკუაციის საკითხებში ფუნქციონალური მოვალეობანი განისაზღვროს შემდეგი სახით:

ობიექტის საევაკუაციო კომისიის უფროსი ექვემდებარება სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების ოპერატიული შტაბის უფროსს.

იგი ვალდებულია:

- ✓ ორგანიზაცია გაუკეთოს მომსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა რაოდენობის დადგენას ევაკუაციისათვის;
- ✓ მუდმივი კავშირი ჰქონდეს, როგორც რაიონის საევაკუაციო კომისიის, აგრეთვე საევაკუაციო შემკრებ პუნქტებთან;
- ✓ იცოდეს ევაკუაციის რაიონი, მოძრაობის მარშუტი, ჩასხდომისა და გადმოსმის ადგილი;
- ✓ აწარმოოს აღრიცხვიანობა ავტოტრანსპორტზე, რომელიც გამოყენებულია ხალხის გადასაყვანად;
- ✓ ორგანიზება გაუკეთოს მატერიალურ-ტექნიკურ და სხვა სახის მომარაგებას ევაკუაციის შემთხვევაში ევაკუირებულებს;
- ✓ ჰქონდეს მჭიდრო კავშირი ქალაქგარე ზონაში ევაკო მიმღებ კომისიასთან, იცოდეს მოსამსახურეთა ჩასახლების ადგილები, მათი მომარაგებით და დასაქმების თაობაზე;
- ✓ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ობიექტის სამოქალაქო თავდაცვის გეგმის შემუშავებაში, იმ საკითხების დაზუსტებაში, რაც შეეხება მოსამსახურეთა ევაკუაციას;
- ✓ მშვიდობიან პერიოდში ექსტრემალური სიტუაციების შემთხვევაში იცოდეს და ჰქონდეს წინასწარი გაანგარიშებული ანგარიში მოსამსახურეთა უსაფრთხო ადგილებში გადაადგილებისათვის.

ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში

- ✓ დროულად შეატყობინოს მოსამსახურეებს ევაკუაციის დაწყება;
- ✓ თავის დროზე გააგზავნოს შემკრებ საევაკუაციო პუნქტზე თავისი წარმომადგენელი;
- ✓ ორგანიზება გაუკეთოს, დანიშნულ დროში სრული შემადგენლობით გამოცხადნენ მოსამსახურეები შემკრებ პუნქტზე უსაფრთხო ადგილებში გადასაადგილებლად;

- ✓ ჩასახლების ადგილებში ჩასვლის შემდეგ ორგანიზება გაუკეთოს მოსამსახურეთა დროულ დაბინავებას და ყოველმხრივ მათ მომარაგებას.

საევაკუაციო კომისიის საშტატო თანამდებობრივი სია

სახელი, გვარი	ს.თ დაკავებული თანამდებობა	ბინის მისამართი	ტელეფონის ნომერი
გია გიგოლაშვილი	უფროსი	ქ. რუსთავი, მე-12 მკრ-ნი 35/47	577284222
მიხეილ გრემელაშვილი	წევრი	ქ. რუსთავი მე-16 მ/რ-ნი 2/45	591129444
გიორგი გიგლემიანი	წევრი	ქ. რუსთავი მე-7 მ/რ-ნი 6/81	598592386

III. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის უფროსის მოადგილის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში ფუნქციონალური მოვალეობანი განისაზღვროს შემდეგი სახით:

ს.თ. უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკურ დარგში ექვემდებარება ობიექტის ს.თ. უფროსს.

იგი ვალდებულია:

- ✓ მიიღოს აქტიური მონაწილეობა სამოქალაქო თავდაცვის გეგმის შედგენაში ,მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გათვალისწინებით;
- ✓ მოამზადოს ანგარიში მოსამსახურეთა და ფორმირებათა აღჭურვისათვის საჭირო სამოქალაქო თავდაცვისათვის;
- ✓ იცოდეს სპეც-აღჭურვის რაოდენობა, მისი შეძენისა და შენახვის პირობები;
- ✓ იცოდეს ავტოტრანსპორტის რაოდენობა, მისი ტექნიკური აღჭურვილობა საწვავ-საცხები მასალის შენახვის პირობები, მისი უსაფრთხოება და ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა;
- ✓ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს აყვანილი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- ✓ სისტემატიურად ახსენებდეს ობიექტის ს.თ. უფროსს ავტოტრანსპორტის და სხვა სამოქალაქო თავდაცვის ქონების ტექნიკურ მდგომარეობას.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის რგოლის
საშტატო თანამდებობრივი სია

სახელი, გვარი	ს.თ დაკავებული თანამდებობა	ბინის მისამართი	ტელეფონის ნომერი
გია გიგოლაშვილი	უფროსი	ქ. რუსთავი, მე-12 მკრ-ნი 35/47	577284222
ლაშა რევაზიშვილი	წევრი	ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი 43/77	599858221
იმედა ინდაშვილი	წევრი	ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. №24	557274222
სერგო ლორთქიფანიძე	წევრი	ქ.თბილისი, მ.ალექსიძის № 1	591200222

IV. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის უფროსის თანაშემწის კავშირგაბმულობისა და შეტყობინების დარგში ფუნქციონალური მოვალეობანი განისაზღვროს შემდეგი სახით:

ს.თ. შტაბის უფროსის თანაშემწე კავშირისა და შეტყობინების დარგში ექვემდებარება ს.თ. შტაბის უფროსს.

იგი ვალდებულია:

- ✓ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ობიექტის ს.თ. გეგმის შემუშავებაში;
- ✓ ორგანიზება გაუკეთოს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას;
- ✓ დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი შემადგენლობის არა გასამხედროებული ფორმირების და მოსამსახურეთა სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად;
- ✓ ობიექტზე ექსტრემალური ვითარების აღმოცენების შემთხვევაში ან მტრის თავდასხმის საშიშროების გამოცხადებისას, თავისდროულად შეატყობინოს მოსამსახურეებს, ფორმირებებს და ხელმძღვანელ შემადგენლობას მოსალოდნელი საფრთხე;
- ✓ ორგანიზება გაუკეთოს ობიექტის მართვის პუნქტზე მორიგეობას დროულად მიიღოს ზემდგომი ორგანოებიდან განკარგულებები, ბრძანებები და აწარმოოს აღრიცხვიანობა;
- ✓ ობიექტის ს.თ. შტაბის უფროსთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღოს შტაბისა და ფორმირების პირადი შემადგენლობის მომზადების საქმეში.

კავშირგაბმულობისა და შეტყობინების რგოლის საშტატო თანამდებობრივი სია

სახელი, გვარი	ს.თ დაკავებული თანამდებობა	ბინის მისამართი	ტელეფონის ნომერი
ნელი უფლისაშვილი	უფროსი	ქ. რუსთავი, თბილისის ქ.29/28	577284280
ორხან რამაზანოვი	წევრი	ქ. რუსთავი ალ.მესხიშვილის I გას. კორ. 7 ბ. 67	551677077
ეკატერინე ჩუბინიძე	წევრი	ქ. რუსთავი, მე-7 მკრ-ნი 8/13	577284335
თეონა გუმბერიძე	წევრი	ქ. რუსთავი, ნ. ნიკოლაძის 3/25	591410292
თამარ ჩიქოვანი	წევრი	ქ. რუსთავი, დონეცკ-მეტალურგ. II გას. 9	577250777

V. პირველი დახმარების სამედიცინო რგოლის ამოცანები.

ა) მშვიდობიანი პირობები:

- ✓ საგუშაგოს უფროსმა იცოდეს რგოლის პირადი შემადგენლობა ამოცანები რგოლის დაკომპლექტდება ტაბელური სამედიცინო აღჭურვილობით;

- ✓ განუწყვეტლივ სრულყოფდეს, როგორც პირად მომზადებას, აგრეთვე დაქვემდებარებული შემადგენლობის ცოდნის დონეს;
- ✓ სისტემატიურად ატარებდეს გეგმით გათვალისწინებულ სამედიცინო თემებზე, როგორც თეორიულ, აგრეთვე პრაქტიკულ მეცადინეობებს;
- ✓ ახორციელებდეს პირადი შემადგენლობის მუდმივ მზადყოფნას და ურთიერთ შეთანხმებულობას;
- ✓ შეეძლოს განახორციელოს ურთიერთმოქმედება სხვა ფორმირებებთან ხელმძღვანელობას უწევდეს მათ მოქმედებას საჭიროების შემთხვევაში;
- ✓ სისტემატიურად უწევდეს კონტროლს ობიექტის ტერიტორიაზე სისუფთავისა და პირადი შემადგენლობის მიერ ჰიგიენის დაცვას;
- ✓ აღმოუჩინოს პირადი სამედიცინო დახმარება ტრამვირებულ ადამიანებს;

ბ) ექსტრემალურ ვითარებაში:

- ✓ სახელმწიფო რგოლის უფროსი სასწრაფოდ კრებს და ატყობინებს რგოლის პირად შემადგენლობას შექმნილ ვითარებას;
- ✓ სწრაფად აგზავნის დაზიანების კერებში რგოლის პირად შემადგენლობას, ადგილზე აღმოუჩენენ პირველ სამედიცინო დახმარებას დაზარალებულებს, რომლებიც შემდეგ გადმოჰყავთ უსაფრთხო ადგილებში;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულები გადაჰყავთ სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალოდ;
- ✓ ობიექტზე შექმნილი ვითარების შესახებ აცნობოს რაიონის სამედიცინო სამსახურის უფროსს.

ქიმიური და რადიაციული სათვალთვალო რგოლის
საშტატო თანამდებობრივი სია

სახელი, გვარი	ს.თ დაკავებული თანამდებობა	ბინის მისამართი	ტელეფონის ნომერი
გიორგი ძინძიბაძე	**უფროსი**	ქ.რუსთავი, მე-7ა მ/რ-ნი, კორპ.: № 2	591014321
ქეთევან თაბაგარი	**წევრი**	ქ.რუსთავი, აკ. წერეთლის ქუჩა № 28/1	591909413
მაია იასეშვილი	**წევრი**	ქ. რუსთავი, იოსებიძის ქუჩა № 9/7	577280980

VI. ხანძარსაწინააღმდეგო რგოლის ამოცანები:

ა) მშვიდობიან პირობებში:

- ✓ ღრმად შეისწავლონ ობიექტზე განლაგებული ყველა შენობა-ნაგებობა და ელექტროგაყვანილობა;
- ✓ იცოდეს ელექტროენერგიის მიწოდების წყარო, მისი საერთო გამომრთველის ადგილმდებარეობა, ელექტროგაყვანილობის ვარგისიანობა, სუსტი ადგილები;
- ✓ სისტემატიურად ამოწმებდეს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ვარგისიანობას;

- ✓ სისტემატიურად ახორციელებდეს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობას, ტერიტორიის დასუფთავებას მარაგის არსებობას და სხვა;
- ✓ აწარმოოს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი, სისტემატიურად ატარებდეს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას ხანძარსაწინააღმდეგო რგოლის პირად შემადგენლობასთან და სასამართლოს თანამშრომლებთან სპეციალურ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალში აღნიშვნით;

ბ) ხანძრის კერის წარმოქმნის შემთხვევაში:

- ✓ სასწრაფოდ შეატყობინოს საგანგებო სიტუაციების სამსახურს ტელეფონის ნომერზე 112;
- ✓ დაუყოვნებლივ შეკრიბოს ხანძარსაწინააღმდეგო რგოლის პირადი შემადგენლობა,
- ✓ განუმარტოს შექმნილი ვითარება, აცნობოს ხანძრის კერის წარმოქნის ადგილი, მოიხსენოს ობიექტის ს.თ. უფროსს და ყველა საშუალების გამოყენებით განახორციელოს ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზება;
- ✓ ადგილზე მოსულ მაშველ ხანძარსაწინააღმდეგო რაზმის უფროსს მოკლედ მოახსენოს საქმის ვითარება და მათთან ერთად განაგრძოს ცეცხლის ქრობა;
- ✓ სახანძრო დაზვერვის რგოლის ამოცანები:
- ✓ სახანძრო მდგომარეობის განსაზღვრა;
- ✓ ხანძარსაშიში მდგომარეობის განსაზღვრა;
- ✓ ხანძრის ჩასაქრობად საჭირო ძალებისა ტექნიკის განსაზღვრა;
- ✓ წყლის მოწოდების საშუალებებისა და რაოდენობის განსაზღვრა;
- ✓ ევაკუაციის მარშუტის განსაზღვრა;

სანიტარული რგოლის საშტატო თანამდებობრივი სია

სახელი, გვარი	ს.თ დაკავებული თანამდებობა	ბინის მისამართი	ტელეფონის ნომერი
თორნიკე შენგელია	უფროსი	ქ. რუსთავი, მე-7 მ/რ 6/3	599392777
ნატო ძლიერიშვილი	წევრი	ქ. რუსთავი ბათუმის ქ. №25/15	577283324
ეკატერინე გობეჯიშვილი	წევრი	ქ. რუსთავი თოდრიას II ჩიხი 3/52	599133474
მარიამ ტაბატაძე	წევრი	ქ.რუსთავი, 21-ე მ/რ-ნი, კორპ.: № 6	557527828

VII. ქიმიური და რადიაციული სათვალთვალო რგოლის ამოცანები

ა) მშვიდობიან პირობებში რგოლის უფროსი მოვალეა:

- ✓ მტკიცედ იცოდეს რგოლის ამოცანები, როგორც მშვიდობიან, ასევე ექსტრემალური პირობების დროს;
- ✓ იცნობდეს რგოლის პირად შემადგენლობას, მათ სამუშაო ადგილს, ჰქონდეს ფორმირების პირადი შემადგენლობის სია, საჭიროების შემთხვევაში მათი სწრაფი შეკრებისათვის;
- ✓ იცოდეს ფორმირებების ს.თ. ქონების შენახვის ადგილი, მიღების დრო და წესები;

- ✓ სისტემატურად ატარებდეს გეგმით გათვალისწინებულ თემებზე, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს რგოლის პირად შემადგენლობასთან;
- ✓ სისტემატიურად ახორციელებდეს, როგორც პირად, ასევე რგოლის შემადგენლობის მუდმივ მზადებას და ურთიერთ შეთანხმებულ მოქმედებას, ენერგიულად მოქმედებდეს დასმული ამოცანების შესრულებისათვის, გამოიჩინოს ინიციატივა, აუცილებლობის შემთხვევაში დამოუკიდებლად გადაწყვიტოს მასზედ დაკისრებული ამოცანები;
- ✓ იცოდეს რგოლის გაშლის ადგილი, მისი დაკავებისა და მზადყოფნაში მოყვანისთვის.

ბ) ექსტრემალური ვითარების აღმოცენებისას საგუშაგოს უფროსი მოვალეა:

- ✓ სასწრაფოდ შეკრიბოს რგოლის პირადი შემადგენლობა, მოკლედ განუმარტოს შექმნილი ვითარება;
- ✓ სასწრაფოდ მიიღოს ს.თ. ქონება, დაიკავოს სათვალთვალო ადგილი, მოიყვანოს მზადყოფნაში რადიაციული ქიმიური დაზვერვის ხელსაწყოები;
- ✓ აწარმოოს ტერიტორიისა და მიმდებარე ადგილების ვიზუალური თვალთვალი რადიაციული ან ქიმიური კერის წარმოქმნის შემთხვევაში სწრაფად აცნობოს ობიექტის ს.თ. შტაბს შექმნილი ვითარება, მათი მითითების შესაბამისად მოქმედებაში მოიყვანოს შეტყობინების სისტემა;
- ✓ ქიმიური და რადიაციული დაზვერვის რგოლის აღჭურვილობა

1. საიზოლაციო აირწინაღი - თითოეულ წევრს;
2. დამცავი ტანსაცმელი - თითო კონპლექტი თითოეულ წევრს;
3. რკინის ნიჩაბი - (ყოველ ავტომობილზე) I;
4. ცულო ხუროსი (ყოველ ავტომობილზე) I;
5. დამცავი სათვალეები - I ფორმირების ყველა წევრს;
6. რომლებიც მონაწილეობას იღებენ მაშველ სამუშაოებში;
7. დურბინდი - ფორმირების ყველა წევრს;
10. კომპასი - I მთელ ფორმირებას;
11. ინდივიდუალური აფთიაქი - I ერთი ფორმების ყველა წევრს ;
12. ინდივიდუალური ქიმსაწინააღმდეგო პაკეტი - I ფორმირების ყველა წევრს;
13. ინდივიდუალური გადასახვევი პაკეტი - I ფორმირების ყველა წევრს;
14. რესპირატორი - I ფორმირების ყველა წევრს;
15. მფილტრავი აირწინაღი - I ფორმირების ყველა წევრს;
16. შემომფარგლავი და ამკრძალავი ნიშნების კომპლექტი - I;
18. შეტყობინების ნიშნების ცხრილი;
19. ნათურა (ან ფანარი);
20. ტელეფონი (ულტრამოკლეტალღიანი რადიოსადგური);

ხანძარსაწინააღმდეგო რგოლის საშტატო თანამდებობრივი სია

სახელი, გვარი	ს.თ დაკავებული თანამდებობა	ბინის მისამართი	ტელეფონის ნომერი
მიხეილ ხეჩიაშვილი	უფროსი	ქ.რუსთავი, პ. თოდრიას ქ.: კორპ.: № 21/21	568704656

გიორგი კვირიკაშვილი	წევრი	ქ.რუსთავი, მე-19 მ/რ-ნი № 18/37	599271997
გურამ რამიშვილი	წევრი	ქ. თბილისი, ვაზისუბანი, მე-3მ/რ მე-2 კვარტ. 15/26	558000098

VIII. მაშველი ჯგუფის ამოცანები

ა) მშვიდობიან პირობებში:

- ✓ ჯგუფის უფროსი მოვალეა იცოდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობა, მათი მომზადების დონე, სამუშაო ადგილი, ჰქონდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობის სია საჭიროების შემთხვევაში მათი სწრაფი შეკრებისათვის;
- ✓ სისტემატიურად ახორციელებდეს, როგორც პირად, ასევე ჯგუფის პირადი შემადგენლობის მუდმივ მზადყოფნას და ურთიერთ შეთანხმებულობას;
- ✓ იცოდეს ჯგუფის სამოქალაქო ქონების ადგილსამყოფელი, მიღებისა და გაცემის გრაფიკი;
- ✓ ენერგიულად იბრძოდეს მის წინ დასმული ამოცანების შესრულებისათვის, გამოიჩინოს ინიციატივა და აუცილებლობის შემთხვევაში დამოუკიდებლად გადაწყვიტოს მასზე დაკისრებული ამოცანები;
- ✓ სისტემატიურად ატარებდეს გეგმით გათვალისწინებულ თემებზე, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს პირად შემადგენლობასთან;
- ✓ იცოდეს ობიექტზე სუსტი და ზუსტი ადგილები, ავარიის შემთხვევაში მისი სწრაფი ლიკვიდაციის ჩასატარებლად;
- ✓ იცოდე ობიექტზე მომუშავე პირთა რაოდენობა, ავარიის შემთხვევაში მათი დახმარების გაწევის საჭიროებისათვის.

ბ) ექსტრემალური ვითარების აღმოცენებისას:

- ✓ ჯგუფის უფროსი მოვალეა სწრაფად შეკრიბოს ჯგუფის პირადი შემადგენლობა;
- ✓ მოკლედ განუმარტოს შექმნილი ვითარება, დაუსახოს თითოეული რგოლის უფროსს ამოცანები და შეუდგეს ს.თ. ქონების მიღებას;
- ✓ სწრაფად და ენერგიულად იმოქმედოს დაზიანებულ კერაში დაზარალებულთა გასაყვანად და დახმარების აღმოსაჩენად აწარმოოს დაზიანებული ადგილის სწრაფი ლიკვიდაცია;
- ✓ სისტემატიურად ახსენებდეს ს.თ. შტაბის უფროსს გაწეული საქმიანობის შესახებ.

სამაშველო ჯგუფის საშტატო თანამდებობრივი სია

სახელი, გვარი	ს.თ დაკავებული თანამდებობა	ბინის მისამართი	ტელეფონის ნომერი
ცოტნე მატუა	უფროსი	ქ. თბილისი, ბაგები, სტუდქალაქი ბინა № 5	555293069
ნათია ქავთარაძე	წევრი	ქ. რუსთავი, ცხრა მაისის ქუჩა 5/28	577284119
ზურაბ ჭაჭაშვილი	წევრი	ქ. რუსთავი, მე-19 მკრ-ნი 8/95	598370024
გიორგი ბუთხუზი	წევრი	ქ. რუსთავი, მე-15 მ/რ-ნი კორპ.: № 11	599807928

IX. თავშესაფრის მომსახურე რგოლის ამოცანები

ა) მშვიდობიან პირობებში:

- ✓ რგოლის უფროსი მოვალეა;
- ✓ იცოდეს რგოლის ამოცანები,
- ✓ პირადი შემადგენლობა და მათი სამუშაო ადგილი, ჰქონდეს ფორმირების პირადი შემადგენლობის სია, საჭიროების შემთხვევაში მათი სწრაფი შეკრებისათვის;
- ✓ სისტემატიურად ახორციელებდეს, როგორც პირად, ასევე რგოლის შემადგენლობის მზადყოფნას და ურთიერთ შეთანხმებულ მოქმედებას;
- ✓ ენერგიულად იმოქმედოს დასმული ამოცანების თავის დროულ შესრულებისათვის გამოიჩინონ ინიციატივა და აუცილებლობის შემთხვევაში დამოუკიდებლად გადაწყვიტოს მასზედ დაკისრებული ამოცანები;
- ✓ სისტემატიურად ატარებდეს გეგმით გათვალისწინებულ თემებზე, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს რგოლის პირად შემადგენლობასთან;
- ✓ იცოდეს როგორც თვითონ, ასევე რგოლის წევრებმა მშვიდობიან პირობებში თავშესაფრის სწორი მომსახურეობა და ექსპლუატაცია, მუდმივ მზადყოფნაში ჰქონდეთ მოყვანილი იგი თანამშრომელთა შეფარებისათვის.

ბ) ექსტრემალური ვითარების აღმოცენებისას:

რგოლის უფროსი მოვალეა:

- ✓ სწრაფად შეკრიბოს რგოლის პირადი შემადგენლობა, მოკლედ განუმარტოს შექმნილი ვითარება;
- ✓ სწრაფად მოიყვანოს თავშესაფარი მზადყოფნის მდგომარეობაში თანამშრომელთა შესაფარებლად;
- ✓ თავშესაფრის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში სწრაფად მიიღოს საჭირო ზომები თავშესაფრის მზადყოფნაში მოყვანისათვის.

თავშესაფრის მომსახურე რგოლის სამტატო
თანამდებობრივი სია

სახელი, გვარი	ს.თ დაკავებული თანამდებობა	ბინის მისამართი	ტელეფონის ნომერი
კობა ჭიპაშვილი	უფროსი	ქ. რუსთავი, მე-7 მ/რ-ნი 11/46	599283416
ანა ნოზაძე	წევრი	ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას გამზირი 11/30	579901208
ეკატერინე ბერიძე	უფროსი	ქ. რუსთავი, დავით გარეჯის 6/7	577284337

X. ობიექტის საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რგოლი

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უფროსი ექვემდებარება სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების ოპერატიული შტაბის უფროსს.

იგი ვალდებულია:

- ✓ ხელმძღვანელობა გაუწიოს ობიექტზე საგანგებო სიტუაციის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
- ✓ მიიღოს აქტიური მონაწილეობა სამოქალაქო თავდაცვის გეგმის შედგენაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნაწილში;
- ✓ მოახდინოს მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება საზოგ. წესრიგის დაცვისათვის.
- ✓ ობიექტის ს.თ. შტაბის უფროსთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღოს შტაბისა და ფორმირების პირადი შემადგენლობის მომზადების საქმეში.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საშტატო თანამდებობრივი სია

სახელი, გვარი	ს.თ დაკავებული თანამდებობა	ბინის მისამართი	ტელეფონის ნომერი
გიორგი ცისკარაული	უფროსი	ქ. რუსთავი, დავით გარეჯის 1/16	598344990
ნინო ლომსიანიძე	წევრი	ქ. რუსთავი, დ. გარეჯის ჩიხი № 6/7	598503001
ხათუნა ხარშილაძე	წევრი	ქ. რუსთავი, ზარათაშვილის ქუჩა № 23/26	595555572

ობიექტის საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს

1. ობიექტის მომსახურეებისა და მოსახლეობის დაცვა მოწინააღმდეგის მიერ მასიური განადგურების და სხვა იარაღის გამოყენების დროს:

- ✓ ომის პირობებში ობიექტის მუშაობის მდგომარეობის ამაღლება;
- ✓ შექმნას და მზადყოფნაში იქონიოს მართვის პუნქტი, შეტყობინებისა და კავშირის სისტემა ქიმიური, რადიაქტიული და ბაქტერიოლოგიური დასნებოვნების დაკვირვებაზე ინფორმაცია მომსახურეების და მათი ოჯახის წევრების შეტყობინება მოწინააღმდეგის თავდასხმის საშიშროების, დასნებოვნების საშიშროების და დატბორვის კატასტროფის შესახებ;
- ✓ შეიქმნას, მოამზადოს და მუდმივ მზადყოფნაში იქონიოს შტაბი, სამსახურები და ფორმირებები;
- ✓ სამოქალაქო თავდაცვაში მოამზადოს ის მოსამსახურეები, რომლებიც ფორმირებებში არ შედიან;
- ✓ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სპეც. საშუალებების დაგროვება, შენახვა და მზადყოფნაში მოყვანა;
- ✓ ობიექტზე არსებული სურსათის, სასმელი წყლის და მისი წყაროების დაცვა რადიაქტიული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური დასნებოვნებისაგან;
- ✓ ობიექტზე მაშველი სამუშაოების ჩატარება და ობიექტის საწარმო საქმიანობის აღდგენა;
- ✓ შუქშენიღბვის ღონისძიებების გატარება.

2. ობიექტის ხელმძღვანელი ახორციელებს უშუალო ხელმძღვანელობას და წარმოადგენს ობიექტს ს/ს და სამოქალაქო თავდაცვის უფროსს. ის პასუხისმგებელია მშვიდობიან და ომიანობის დროს სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების დაგეგმვაზე და ჩატარებაზე.

ობიექტის ს/ს და ს/თ-ის უფროსს ეკისრება:

- ✓ ობიექტის სამოქალაქო თავდაცვის გეგმის დამუშავება, მისი დადგენილი რიგით მოქმედებაში შეყვანა, უხელმძღვანელოს ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად სამსახურის მიერ გეგმების დამუშავებას;
- ✓ შეატყობინოს მოწინააღმდეგის თავდასხმის, დასნებოვნების, დატბორვის საშიშროების შესახებ მომსახურეებს, ფორმირებებსა და სამსახურებს;
- ✓ ობიექტის ფორმირების და სამსახურების ჩამოყალიბება, მათი პირადი შემადგენლობით დაკომპლექტება, სპეც ქონებითა და ტექნიკით მომარაგება;
- ✓ დამცავი ნაგებობების დროული მშენებლობის უზრუნველყოფა, მათი შენახვა მუდმივ მზადყოფნაში;
- ✓ სპეც. ქონების და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დაგროვება, მათი შენახვა და მუდმივ მზადყოფნაში უზრუნველყოფა, მათი დარიგება დადგენილი რიგით;
- ✓ დადგენილი რიგით განხორციელდეს მუშა-მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრების ევაკუაცია და განლაგება;
- ✓ უხელმძღვანელოს ქალაქგარეთა ზონაში მუშა- მოსამსახურეთა, მათი ოჯახის წევრთა საევაკუაციო ბაზრის მომზადებას, მათ საევაკუაციო განაწილებას, ობიექტის სთ-ის გეგმის მიხედვით;
- ✓ დაამუშავოს და გაატაროს ომიანობის დროისათვის ობიექტის მუშაობის მდგომარეობის ასამაღლებელი ღონისძიებები, განახორციელოს დაზიანების მეორადი კერების წარმოქნის საშიშროების შემცირების ღონისძიებები;
- ✓ დადგენილი რიგით უზრუნველყოს სასმელი წყლით, სურსათით და სამედიცინო ქონებით თავშესაფრებში გახიზნული ადამიანები;
- ✓ გაატაროს ღონისძიებები ობიექტზე არსებული სურსათის, სასმელი წყლის და მისი წყაროების რადიაქტიური, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური დასნებოვნებისაგან ასაცილებლად;
- ✓ მოამზადოს შტაბი, სამსახურები, ფორმირებები, ასევე შეასწავლოს მოსამსახურეებს მოქმედების წესები;
- ✓ პირადად უხელმძღვანელოს მაშველ სამუშაოებს, ობიექტის საწარმოო მოქმედების აღდგენას;
- ✓ დაამუშავოს და წარმოადგინოს წინადადებები სთ-ის ღონისძიებებზე, რომლებიც მოითხოვენ კაპიტალურ დაბანდებებს და მატერიალური საშუალებების დანახარჯებს ;
- ✓ გაატაროს შექმნილობის ღონისძიებები;

ობიექტის ს/ს და ს/თ -ის უფროსი ექვემდებარება უწყებრივად მასზე უფრო ზემდგომს და ქ. რუსთავის მერს.

3. ობიექტის ს/ს და ს/თ -ის უფროსთან იქმნება სამსახურები და შტაბი. შტაბის შემადგენლობაში შედის: შტაბის უფროსი, მისი მოადგილეები ოპერატიულ საკითხებში, საბრძოლო მომზადებაში, დაზვერვაში და სხვა თანამდებობრივი პირები. შტაბის დაკომპლექტება ხდება სთ-ის საშტატო მომსახურეებით და თანამდებობის პირებით ობიექტის სპეციალისტებით, ობიექტის სთ-ის ბრძანებით. შტაბის საშტატო მომსახურეთა რიცხვი განისაზღვრება უწყებრივი დაქვემდებარებით.

4. ობიექტის ს/ს და ს/თ-ის შტაბის უფროსი ემორჩილება ს/ს და ს/თ-ის უფროსს და არის მისი მოადგილე. მას უფლება აქვს ს/ს და ს/თ-ის უფროსის სახელით გასცეს განკარგულებები /ბრძანებები/ ს/ს და ს/თ-ს საკითხებზე.

შტაბის უფროსს პასუხისმგებლობა ეკისრება ობიექტის ს/თ-ის გეგმის დამუშავებაზე, მასში დროულად შესწორებების შეტანაზე, შტაბზე დაკისრებული ყველა ამოცანის შესრულებაზე, შტაბის პირადი შემადგენლობის სწავლა, აღზრდაზე, შტაბის საქმიანობის ხელმძღვანელობაზე, შტაბის სამსახურის ობიექტების ევაკო კომისიის შეთანხმებულ მოქმედებაზე, დათქმულ დროში ღონისძიებების შესრულებაზე, შტაბის უფროსი ვალდებულია მოახდინოს ვითარების შესახებ მონაცემების შეგროვება, მათი შესწავლა და ანალიზი, მოახსენოს მათ შესახებ ობიექტის სთ-ის უფროსს და ზემდგომ შტაბს. მოამზადოს აუცილებელი გათვლები და წინადადებები ღონისძიებათა ჩასატარებლად, ხელქვეითებამდე დაიყვანოს ამოცანები, განახორციელოს ზედამხედველობა მათ შესრულებაზე, ყოველმხრივ უზრუნველყოს ფორმირებები ამოცანების შესრულების დროს.

5. ობიექტის სამრეწველო ხასიათის მიხედვით და შესაბამისი საშუალებების არსებობის შემთხვევაში იქმნება ს/ს და ს/თ-ის უფროსის ბრძანებით შემდეგი სამსახურები: კავშირისა და შეტყობინების, სამედიცინო, ქიმია-რადიაციის თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო, ენერგო მომარაგების და შუქშენიღბვის, საავარიო-ტექნიკური, თავშესაფრების, სატრანსპორტო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და სხვა.
სამსახურების უფროსებად ინიშნებიან ობიექტის ქვედანაყოფების უფროსები, რომელთა საფუძველზეც შექმნილია სამსახურები, ისინი ემორჩილებიან ობიექტის სთ-ის უფროსს და თავიანთ სამუშაოებს ასრულებენ მისი გადაწყვეტილებების შესაბამისად, შტაბის უფროსისა და რაიონის სთ-ის შესაბამის სამსახურების უშუალო ხელმძღვანელობით.

6. ობიექტის ს/ს და ს/თ-ის უფროსთან იქმნება მმართველი ჯგუფი, რომელიც შედგება შტაბის უფროსისაგან, მისი მოადგილის და თანაშემწეებისაგან. შტაბის შემადგენლობა განისაზღვრება სამსახურის უფროსის მიერ გადასაწყვეტი ამოცანების ხასიათისა და მოცულობის მიხედვით და მტკიცდება ობიექტის სთ-ის უფროსის მიერ.

7. სამსახურის უფროსები პასუხისმგებელნი არიან მათდამი დაქვემდებარებული სამსახურის შექმნაზე, მომზადებაზე და მის მუდმივ მზადყოფნაზე, სამოქალაქო თავდაცვის სპეციალური ქონებით და თავდაცვის საშუალებებით მის აღჭურვაზე სამსახურზე დაკისრებული ამოცანების დროულად შესრულებაზე. ისინი ვალდებულნი არიან იცოდნენ სამსახურის ამოცანები, ხელქვეითების შესაძლებლობები, მათი მომარაგების დონე, დაამუშაონ სამსახურის გეგმები და მოახსენონ სამსახურის უფროსს მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

შტაბი ვალდებულია:

- ✓ დროულად დაამუშაოს და ყოველწლიურად დააზუსტოს ობიექტის სთ-ის გეგმა;
- ✓ მოახდინოს ფორმირებების, სამსახურების და საევაკუაციო ორგანოების მომზადება;
- ✓ ჩაატაროს სთ-ის სწავლება მომზადება იმ მომსახურეთათვის რომლებიც ფორმირებებში არ შედიან;
- ✓ დაამუშაოს მშვიდობიანი და საომარი დროის ღონისძიებები და ზედამხედველობა გაუწიოს მათ შესრულებას;
- ✓ დროულად მოამზადოს მართვის პუნქტები და შექმნას ობიექტზე შეტყობინებების და კავშირგაბმულობის სისტემა;

- ✓ უზრუნველყოს ხელმძღვანელი შემადგენლობის შტაბის და სამსახურების დროული შეტყობინება ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ, მზადყოფნაში მოიყვანოს მართვის ორგანოები, ობიექტის ძალების და საშუალებები;
- ✓ ჩამოაყალიბოს /შექმნას/ დაზვერვა, შეაგროვოს და შეისწავლოს მონაცემები არსებული ვითარების შესახებ, დასკვნები და წინადადებები მოახსენოს ზემდგომ შტაბს. დაიყვანოს მონაცემები ვითარების შესახებ, დასკვნები და წინადადებები მოახსენოს ზემდგომ შტაბს. ზემოაღნიშნულის შესახებ ინფორმაცია;
- ✓ ფორმირებებს, მოსამსახურეებს შეატყობინოს მოწინააღმდეგის თავდასხმის რადიოაქტიური, ბაქტერიოლოგიური დასნებოვნების, დატბორვის კატასტროფის შესახებ. ობიექტის ს/თ -ის უფროსისათვის მოამზადოს გათვლები და წინადადებები ღონისძიებათა გატარებისათვის, გამოიყენოს ობიექტის სამსახურები და საევაკუაციო ორგანოები;
- ✓ ამოცანები დაიყვანოს ხელქვეითებამდე და ზედამხედველობა გაუწიოს მათ შესრულებას, დაამუშაოს ობიექტის ს/თ - ის უფროსის ბრძანებები და განკარგულებები, მოხსენება წარუდგინოს ზემდგომ შტაბს;
- ✓ აწარმოოს ობიექტის სთ-ის ძალებისა და საშუალებების ფორმირებების მომსახურეების მიერ მიღებული რადიაციის და აგრეთვე პირადი შემადგენლობის დანაკარგის აღრიცხვა;
- ✓ შეისწავლოს სთ-ის ღონისძიებების წარმატებით განხორციელების პირადი შემადგენლობის უნარიანი მოქმედების გამოცდილება, დაიყვანოს ის სამსახურებამდე, ფორმირებამდე და შტაბებამდე;
- ✓ ამოცანების გადაწყვეტისას შტაბის ძირითადი ძალა უნდა იყოს მიმართული დამცავი ნაგებობების ასაშენებელი ყველა დროული ღონისძიებების ეფექტურ გამოყენებაზე, ფორმირებების შექმნასა და მომზადებაზე სამაშველო საქმიანობისათვის და ობიექტის მუშაობის მდგრადობის ასამაღლებლად ომიანობის დროს.